ეხება რა შვიდწლედის მეორე წლის გეგმებს, ამხ. ეფრემოვი აღნიშნავს, რომ რიაზანელები არ ფიქრობენ დასჯერდნენ მიღწეულს, იყოყოჩონ და ერთი ადგილი ტკეპნონ. კოროვის სახელობის კოლმეურნეობა თავის წვლილს შეიტანს ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა საერთო ღონისძიებებში. თუ მომდინარე წელს ეს ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულებზე წარმოებული იყო 173 ცენტნერი ხორცი, გადაწყდა, რომ მომავალ წელს აწარმოონ სულ ცოტა 200 ცენტნერი, დასახულია რძე გაიყიდოს ერთნახევარჯერ მეტი.

ჩრდილოეთ უყაზეთის ოლქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „ჩისტოგვის „კოზლოვკის“ დირექტორმა ა. ი. კოზლოვმა გაუზიარა დამსწრეთ ამ ზონაში სიმინდის მოყვანის გამოცდილება. საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთია იმ ოთხი მეურნეობიდან, რომლებიც უყაზეთში შეიქმნა იმისათვის, რომ აწარმოონ სიმინდის მოყვანის ცდები თესლბრუნვაში სიმინდის ნათესთა დიდი კონცენტრაციით. სიმინდს საბჭოთა მეურნეობაში 3,5 ათასი ჰექტარი უჭირავს. ზოგიერთი ნაკვეთის ჰექტარზე მწვანე მასის მოსავალმა 900-1000 ცენტნერი შეადგინა.

ამხ. კოზლოვი ამბობს, რომ სიმინდი აქ ჩინებული წინამორბედია ხორბლისათვის. სიმინდის შემდეგ ხორბლის ნათესზე წლევანდელ გვალვიან ზაფხულში 17,6 ცენტნერი მოსავალი მოვიდა ჰექტარზე. ამავე დროს მარცვლეულის საშუალო მოსავალმა საბჭოთა მეურნეობაში შეადგინა 10,5 ცენტნერი ჰექტარზე.

კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარემ პ. ა. პროზოროვმა ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო არტელის განვითარებაზე, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლის, მიცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაზე. კოლმეურნეობამ მომდინარე წელს ხუთჯერ მეტი პროდუქცია ჩაბარა, ვიდრე 1953 წელს. ნეურნეობის საერთო შემოსავალი 18 მილიონ მანეთს შეადგენს. მიღწეულ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება, რის მეშახტიორეცა ისპობა კოლმეურნეობა დასაქმების სეზონურობა. შექმნილია დიდი შესაძლებლობანი კაპიტალური მშენებლობის ტემპის გადიდებისათვის, კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. პროზოროვმა მიუძღვნა კოლმეურნეობის დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას. აქ წარმოებს ორსართულიანი რვაბინიანი სახლების მშენებლობა. სახლებს აქვთ პატარა საკარმიდამო ნაკვეთები, შენდება აგრეთვე სასადილო, ბანო, პოლიკლინიკა, საბავშვო დაწესებულებანი, წყალსადენი.

შემდეგ ამხ. პროზოროვი ამბობს, რომ საქმიანი გადიდებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოება, სპეციალიზაციაზე ტექნიკის გამოშვება, ლაპარაკობს თვეზის მეურნეობისა და მეფუტკრეობის განვითარებაზე.

სიტყვა მიეცა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. დ. კარაევს. ეხება რა იმის მიზეზებს, რომ რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ბამბის დამზადების გეგმა, იგი აცადებს, რომ ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთელ ძალღონეს იმას ახმარენ, რომ შვიდწლედის მეორე წელს არა მარტო შეასრულონ გეგმა, არამედ ამ წლის დავალებანებიც დაფარონ. თურქმენეთის პარტიული ორგანიზაცია ამოცანად ისახავს, რომ ორ წელიწადში კვლავ დაიკავოს მეორე ადგილი ჩვენს ქვეყანაში ბამბის მთლიანი წარმოების მიხედვით.

ამხ. კარაევი შემდეგ ლაპარაკობს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ. განუუყვიტლივ მზარდი მოთხოვნილება შესანაშენავი სილამაზისა და ხარისხის თურქმენულ კრაველზე იწვევს მეკრაველეობის ყოველი დონისძიებით განვითარებას. შვიდწლედის მანძილზე საკრაველე ცხვრის სულადობა გაიზრდება ერთი მილიონით, ანუ 34 პროცენტით. ამისათვის საჭირო გახდება 10 მილიონი ჰექტარი მიწა ოაზრუნველყოთ წყლით ყარა-ყუმის ოდაბნოში.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო ერთხმად მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საკდესი).

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერთან, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანთან და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შ. დე გოლთან

21 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ელჩები მოსკოვში ეწვივნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანის, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შ. დე გოლის პირადი წერილები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე.

1959 წლის 25 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ სამი სახელმწიფოს ელჩებს გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო წერილები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შ. დე გოლის სახელზე.

ქვემოთ ქვეყნდება ზემოაღნიშნული დოკუმენტების ტექსტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც ადასტურებთ, რომ მზადა ხართ მიიღოთ მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირში და იუწყებით, რომ ამ საკითხზე მიღწეულია თანხმობა თქვენს, პრემიერ-მინისტრ მაკმილანსა და პრეზიდენტ დე გოლს შორის.

უწინარეს ყოვლისა მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ თქვენ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრეზიდენტ დე გოლს სასურველად მიგაჩნიათ, რომ მთავარი საერთაშორისო პრობლემების განსახილველად დროდადრო იმართებოდეს უმაღლესი დონის თათბირები ასეთი თათბირების მონაწილე ქვეყნებში.

საბჭოთა მთავრობას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთ განცხადებას. ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ სწორედ სახელმწიფო მოღვაწეთა უმაღლეს დონეზე პირადი შეხვედრების გზით შეიძლება ყველაზე ქმედითად გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის იმისათვის, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა მოეწყოს პარიზში.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრის დასახელებული თარიღი 1960 წლის 27 აპრილი მოუხერხებელია საბჭოთა მთავრობისათვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი სურვილია ამ შეხვედრის შესაძლო თარიღებად დავასახელოთ 1960 წლის 21 აპრილი ან 4 მაისი.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ერთ-ერთი ეს თარიღი მისაღები იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის, რომ მისი ეს წინადადება რაიმე სიძნელეს არ შეიტანს მთავრობათა მეთაურების შეხვედრის საბოლოო თარიღის არჩევაში.

იმედი მაქვს, ბატონო პრეზიდენტო, რომ ეს მოსაზრებანი მისაღები იქნება თქვენთვის.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 25 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
ბ-ნ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების
პრეზიდენტს
ქ. ვაშინგტონი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარეო,

როგორც მოგეხსენებათ, მე ეს არის შეეხვდი პრეზიდენტ დე გოლსა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანს. იმ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, იყო საკითხი თქვენთან ჩვენი შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ საერთაშორისო პრობლემების განსახილველად, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ოთხი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებისათვის სასურველია დროდადრო შეეხვედეთ ერთმანეთს ჩვენს ქვეყნებში ძირითადი პრობლემების განსახილველად, რომლებიც შეეხება მშვიდობის მიღწევას და სტაბილობას მსოფლიოში. ამიტომ მინდა ახლავე განვაცხადო, რომ მზად ვარ შეეხვედეთ თქვენ. პრეზიდენტ დე გოლსა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანს უახლოეს პრაქტიკულად შესაძლო დროს. ამ საქმეების მიხედვით, რომლებიც, როგორც მე ვიცი, ყოველ ჩვენგანს მოელის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ განზრახული თათბირის დაწყების შესაფერისი თარიღი შეიძლება იყოს 27 აპრილი, ხოლო ყველაზე შესაფერისი ადგილი პირველი შეხვედრისთვის — პარიზი.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს წინადადება მისაღებია თქვენთვის.

გულწრფელად
დუაიტ დ. ეიზენჰაუერი

1959 წლის 21 დეკემბერი.

მის აღმატებულებას ნიკიტა ს. ხრუშჩოვს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
მოსკოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანისადმი

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც ადასტურებთ, რომ მზადა ხართ მიიღოთ მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირში და იუწყებით, რომ ამ საკითხზე მიღწეულია თანხმობა თქვენს, პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრეზიდენტ დე გოლს შორის.

უწინარეს ყოვლისა მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ თქვენ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრეზიდენტ დე გოლს სასურველად მიგაჩნიათ, რომ მთავარი საერთაშორისო პრობლემების განსახილველად დროდადრო იმართებოდეს უმაღლესი დონის თათბირები ასეთი თათბირების მონაწილე ქვეყნებში.

საბჭოთა მთავრობას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთ განცხადებას. ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ სწორედ სახელმწიფო მოღვაწეთა უმაღლეს დონეზე პირადი შეხვედრების გზით შეიძლება ყველაზე ქმედითად გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის იმისათვის, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა მოეწყოს პარიზში.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრის დასახელებული თარიღი 1960 წლის 27 აპრილი მოუხერხებელია საბჭოთა მთავრობისათვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი სურვილია ამ შეხვედრის შესაძლო თარიღებად დავასახელოთ 1960 წლის 21 აპრილი ან 4 მაისი.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ერთ-ერთი ეს თარიღი მისაღები იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის, რომ მისი ეს წინადადება რაიმე სიძნელეს არ შეიტანს მთავრობათა მეთაურების შეხვედრის საბოლოო თარიღის არჩევაში.

იმედი მაქვს, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ეს მოსაზრებანი მისაღები იქნება თქვენთვის.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 25 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
ბ-ნ ჰაროლდ მაკმილანს,
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს
ქ. ლონდონი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარეო,

როგორც მოგეხსენებათ, მე ეს არის შეეხვდი პრეზიდენტ დე გოლსა და პრეზიდენტ ეიზენჰაუერს. იმ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, იყო საკითხი თქვენთან ჩვენი შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ საერთაშორისო პრობლემების განსახილველად, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ოთხი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებისათვის სასურველია დროდადრო შეეხვედეთ ერთმანეთს ჩვენს ქვეყნებში ძირითადი პრობლემების განსახილველად, რომლებიც შეეხება მშვიდობის მიღწევას და სტაბილობას მსოფლიოში. ამიტომ მინდა ახლავე განვაცხადო, რომ მზად ვარ შეეხვედეთ თქვენ, პრეზიდენტ დე გოლსა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანს უახლოეს პრაქტიკულად შესაძლო დროს. ამ საქმეების მიხედვით, რომლებიც, როგორც მე ვიცი, ყოველ ჩვენგანს მოელის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ განზრახული თათბირის დაწყების შესაფერისი თარიღი შეიძლება იყოს 27 აპრილი, ხოლო ყველაზე შესაფერისი ადგილი ამ პირველი შეხვედრისათვის — პარიზი.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს წინადადება მისაღები იქნება თქვენთვის.

გულწრფელად თქვენი
ჰაროლდ მაკმილანი.

1959 წლის 20 დეკემბერი.

მის აღმატებულებას ბ-ნ ნ. ს. ხრუშჩოვს,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი გენერალ შ. დე გოლს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც ადასტურებთ, რომ მზადა ხართ მიიღოთ მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს უმაღლესი დონის თათბირში და იუწყებით, რომ ამ საკითხზე მიღწეულია თანხმობა თქვენს, პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანს შორის.

უწინარეს ყოვლისა მინდა დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ თქვენ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და პრემიერ-მინისტრ მაკმილანს სასურველად მიგაჩნიათ, რომ მთავარი საერთაშორისო პრობლემების განსახილველად დროდადრო იმართებოდეს უმაღლესი დონის თათბირები ასეთი თათბირების მონაწილე ქვეყნებში.

საბჭოთა მთავრობას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთ განცხადებას. ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ სწორედ სახელმწიფო მოღვაწეთა უმაღლეს დონეზე პირადი შეხვედრების გზით შეიძლება ყველაზე ქმედითად გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის იმისათვის, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა მოეწყოს პარიზში.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრის დასახელებული თარიღი 1960 წლის 27 აპრილი მოუხერხებელია საბჭოთა მთავრობისათვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენი სურვილია ამ შეხვედრის შესაძლო თარიღებად დავასახელოთ 1960 წლის 21 აპრილი ან 4 მაისი.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ერთ-ერთი ეს თარიღი მისაღები იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისათვის, რომ მისი ეს წინადადება რაიმე სიძნელეს არ შეიტანს მთავრობათა მეთაურების შეხვედრის საბოლოო თარიღის არჩევაში.

იმედი მაქვს, ბატონო პრეზიდენტო, რომ ეს მოსაზრებანი მისაღები იქნება თქვენთვის.

გულწრფელი პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი
1959 წლის 25 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
ბ-ნ ჰაროლდ მაკმილანს,
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს
ქ. ლონდონი.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შ. დე გოლის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

ბატონო თავმჯდომარეო,

როგორც მოგეხსენებათ, მე ეს არის შეეხვდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და შეერთებული სამეფოს პრემიერ-მინისტრს, იმ საკითხთა შორის, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, იყო საკითხი თქვენთან ჩვენი შეხვედრის შესაძლებლობის შესახებ საერთაშორისო პრობლემების განსახილველად, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ოთხი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებისათვის სასურველია დროდადრო შეეხვედეთ ერთმანეთს ჩვენს ქვეყნებში ძირითადი პრობლემების განსახილველად, რომლებიც შეეხება მშვიდობის მიღწევას და სტაბილობას მსოფლიოში. ამიტომ მინდა გაცნობოთ, რომ მზად ვარ შეეხვედეთ თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარეო, აგრეთვე პრეზიდენტ ეიზენჰაუერსა და ბ-ნ მაკმილანს რაც შეიძლება ახლოეს ვადაში, იმ საქმეების მიხედვით, რომლებიც, როგორც ჩვენ ვიცით, ყოველ ჩვენგანს მოელის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ განზრახული თათბირის დაწყების შესაფერისი თარიღი შეიძლება იყოს 27 აპრილი, ხოლო შესაფერისი ადგილი პირველი შეხვედრისათვის — პარიზი.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს წინადადება მისაღებია თქვენთვის.

ერწმუნეთ, ბატონო თავმჯდომარეო,
ჩემს დიდ პატივისცემას

შარლ დე გოლი.

1959 წლის 21 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
ბ-ნ ნ. ს. ხრუშჩოვს,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲒᲐᲚᲝᲕᲘ—

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწოდებათან

ძვირფასო მეგობრებო!

მე ხშირად მომმართავენ სოფლის მეურნეობის მექანიზატორები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან და მთხოვენ გავუზიარო ჩვენი ბრიგადის მუშაობის გამოცდილება. ამასთან, არც თუ იშვიათად, ჩამოდიან ჩვენს კოლმეურნეობაში სხვადასხვა რაიონების კოლმეურნეობათა მექანიზატორები ჩვენი მუშაობის გასაცნობად. ამ მიზნით ჩვენთან იყვნენ საქართველოს მექანიზატორთა წარმომადგენლებიც. ყველაფერი ეს გვახარებს და აღგვაფრთოვანებს უკეთესი მუშაობისათვის.

პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმიც, რომელმაც განიხილა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირეული საკითხი.

არ არის სოფლის მეურნეობის ისეთი დარგი, რომლის შესახებაც საფუძვლიანად არ იმსჯელეს ამ პლენუმზე.

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების საკითხებს. ყველაფერი ეს უდიდესი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს მექანიზატორებს. ახლა აღარ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მიღწეულით.

როგორც იცით, განსაზღვრულ დრომდე სოფლის მეურნეობის აღჭურვა ტექნიკით უმთავრესად მიმდინარეობდა ცალკეულ, ყველაზე უფრო შრომატევად სამუშაოთა — ხვნის, თესვის, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების ხაზით. ეს იმ დროისათვის სწორი იყო, რამდენადაც ჩვენს მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეეძლო სოფლის მეურნეობა მთლიანად დაეკმაყოფილებინა მისთვის საჭირო ტექნიკით. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. დიდად განვითარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. სოფლად გამოიზარდნენ მექანიზატორთა უნარიანი კადრები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ მართონ როგორიც გნებავთ რთული მანქანები და აგრეგატები. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე რომ შეექმნათ, საჭიროა ტექნიკის სრული და დატვირთვით გამოყენება. ამას კი ზოგან მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან. თუ ტექნიკას კარგად გამოიყენებ, ის შრომასაც დაგიფასებს, გაგახარებს თავისი წარმადობის შედეგებით. ამაში დავრწმუნდი ჩვენი ბრიგადის მაგალითით, რომლის მუშაობის შესახებ მინდა ზოგიერთი რამ გავუზიარო საქართველოს მექანიზატორებს.

პირველად კომპლექსური მექანიზაცია გამოვიყენეთ სიმინდის მოყვანაში. ჩვენში ეს კულტურა 1.000-ზე მეტ ჰექტარზე ითესება. ახლა ყველა კოლმეურნეობა სიმინდს თესავს მანქანებით და კარგ კვადრატებსაც იღებს. ჩვენ ვისწავლეთ ამ კულტურის ისე დათესვა, რომ ყოველ ბუდნაში იყოს ორი-სამი მარცვალი. ამრიგად, განვდევნეთ ხელით შრომა, მხოლოდ მანქანებით ვამუშავებთ სიმინდის ნათესების მთელ ფართობებს. ჩვენს ბრიგადაში პირველად წელს განვახორციელეთ სიმინდის მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. მართალია, თითქოს ყველა კოლმეურნეობაში მანქანებით ხნავენ, თესავენ და რიგთა შორის ამუშავებენ სიმინდს, მაგრამ ზოგან ვერ ახერხებენ მისი მოსავლის მანქანებით აღებას.

როგორ მოვაწყეთ ეს საქმე შვიდწლედის პირველ წელს?

სიმინდის მოსავალი ავიღეთ ორ ფაზად — გაყოფით. ამ სამუშაოს ვასრულებდით ხერსონის ქარხნის მიერ გამოშვებული „კკხ-3“ მარკის კომბაინებით. კომბაინი ერთდროულად იღებდა სიმინდის სამ რიგს. იგი აცალკევებს ტაროს, ხოლო მწვანე მასას კუწავს სასილოსედ. კომბაინზე მიბმულია „პტს-10“ მარკის ორი ფორანი: ერთი აგროვებს ტაროებს, ხოლო მეორე დაკუწულ მწვანე მასას. ასეთი აგრეგატი იოლად მიპყავს „დტ-54“ მარკის ტრაქტორს, რომელსაც ემსახურება მხოლოდ ორი კაცი — ტრაქტორისტი და კომბაინერი. იმის მიუხედავად, თუ რა მანძილია სილოსის ჩასადებ ადგილამდე, აგრეგატისათვის საჭიროა 3-4 ფორანი. მეორე ტრაქტორისტს მინსკის ქარხნის მიერ გამოშვებული „მტზ-54“ მარკის ტრაქტორით მინდვრიდან ტრანშეამდე გადააქვს ფორანი სასილოსე მასით. ფორნების დაცლა ხდება ავტომატურად, ჰიდროსისტემის დახმარებით, რომელსაც მართავენ ტრ

გიორგი ლეონიძე და ხალხური შემოქმედება

საქართველოს სსრ სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების 60 წლისთავისათვის



როცა ჩვენი დიადი ეპოქის გამოჩენილი პოეტის გიორგი ლეონიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხზე ვფიქრობთ, ყოველთვის გვაგონდება დიდ მგოსნის ვაჟა-ფშაველას საპროგრამო სიტყვები: „...ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქერაში არ გაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“. გიორგი ლეონიძის პოეზიამ ხალხის გულში ჰპოვა მყარი ბინა. მისი ხალხურობის უშრეტი წყარო ეროვნულ კლასიკურ ლიტერატურასთან ერთად მდიდარი ზეპირსიტყვაობაც არის, რომლის ძეგლთა შესწავლას პოეტმა დაუფასებელი ამაგი დასდო. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხის მხოლოდ ორ მხარეს ვეხებით.

ხალხი მღერის და ავსებს პოეტის ლექსებს

ჭეშმარიტმა ხალხურობამ, სოციალისტურმა შინაარსმა და მიმზიდველმა ეროვნულმა ფორმამ მასიური გახადა გიორგი ლეონიძის პოეზია. სად, ვისგან, რა გარემოებაში არ გაგიგონებთ მის ლექსებს. ხშირ შემთხვევაში პოეტის ლექსები კოლექტიურიც კი ხდება. კოლმეურნე და მუშა მოლექსეები თავისებურად ავრცელებენ ამ ლექსებს, უქმნიან მას ვარიანტებს. საინტერესოა რამდენიმე მომენტი ფოლკლორისტთა საველე მუშაობიდან. 1946 წელს ხევსურეთში, სოფელ წინხადუში საღამო ყამს ექსპედიცია დასასვენებელ პუნქტში — თ. არაბულის ოჯახში ბრუნდებოდა. გაისმა ფანდურის ჩხაკუნი. კარის ზღურბლზე იჯდა 20 წლის ჭაბუკი მახა არაბული. იგი შთაგონებით დასძახოდა საკრავზე:

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
მხრებზე არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა ვიყავი,
ოცი არ გადამეხადა,
საბჭოთა დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხათა.
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტუვიის მიზანი.

მახა შთაგონებით მღეროდა გიორგი ლეონიძის ორი ლექსის „ღიმილის ბიჭი ვიყავი“ და „არ დაიდარდო, დედაო“ ოდნავ შეცვლილ სტრიქონებს, შეკრულს ერთ ტექსტად და გვიმტკიცებდა, რომ ეს სტრიქონები ხალხურია. ასევე შთაგონებით მღეროდა პოეტის ლექსს 1951 წელს სოფელ თეთრწყლებში მცირე გაზათლების მქონე კოლმეურნე მეცხვარე, კარგი მოლექსე და მეფანდური ირაკლი (ურჯუკა) ქისტაური. გატაცებით დასძახოდა ფანდურზე უურჯუკა და ცვლიდა პოეტის ლექსს და შიგ საკუთარ სტრიქონებსაც ურევდა.

ქართლშიც, როგორც ხალხური შაირი, გვიმღერეს გიორგი ლეონიძის ლექსის ოდნავ შეცვლილი სტრიქონები:

არ დაიხრება არასდროს
სამშობლოს დროშა მაღალი,
როგორც არ დაიხრებიან
მთები თოვლგადაწაყარი.

ვარიანტებად არის ცნობილი პოეტის სხვა ლექსებიც. ეს გარემოება გიორგი ლეონიძის პოეზიის ხალხურობის შედეგია. იგი იმის მაჩვენებელია, რომ პოეტის მდიდარმა შემოქმედებამ მკვიდრი ბინა იპოვა მშობელი ერის გულში, — საბჭოთა ხალხის მგზნებარე გულში.

პოეტი შთაგონებულია ხალხური შემოქმედებით

პოეტის ეს შთაგონება არ არის პასიური. იგი წყაროა ამაღლებული პატრიოტიზმისა, ღრმა სოციალისტური შინაარსისა და მიმზიდველი ეროვნული ფორმისა. პოეტი აახლებს ხალხურ ნაწარმოებებს, აძლევს მათ ახალ შინაარსს და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელ სიმაღლეზეც აჰყავს.

ხალხური ნაწარმოების ახალ ესთეტიკურ საფეხურზე აყვანის, პოეტის მგზნებარე სულიერ ქერაში გადადნობის ერთი საუკეთესო მაგალითია საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით შექმნილი, სავსებით ორიგინალური ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“. ლექსი საგნობრივად დამოუკიდებელია ხალხური შემოქმედებისაგან. მისი ერთი მგრძნობიარე ადგილი კი ხალხურ მოთქმას ენათესავება. ასეთია „დედის ნატრიალი შვილზე“, ტექსტი ხევსურული:

მზეო, დადეგ და დაგვიანდი,
მზე სდგებარ უკენობისაო,
ვიურებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო.

ხევსურული სამგლოვიარო წესით მიცვალებულს მზის ჩასვლამდე არ ასაფლავებენ. შვილის სიკვდილით გამწარებული დედა ევედრება მზეს არ ჩაეიდეს.

გიორგი ლეონიძის ლექსში ხევსური ქალის მიამიტი ნათქვამი ისეა გადამუშავებული, აძალებული, დიდი მიხაარსით სავსე, რომ მას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს:

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

ეს სტრიქონები და მთლიანად გიორგი ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“ მიმართულია ომის საშინელების წინააღმდეგ. იგი მუდამ იქნება მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი. ასევე ბრწყინვალედ იყენებს პოეტი სხვა ჟანრის ხალხურ ნაწარმოებებს.

ხალხურ პოეზიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი ლეონიძის რომანტიული ლირიკული ლექსები „ყივჩაღური ღამე“ და „ყივჩაღის პაემანი“. ეს ლექსები ერთგვარი პასუხია გავრცელებული ძველი ხალხური ბალადისა „შემომეყარა ყივჩაღი“. ჩვენ არა გვგონია პოეტი ამ ლექსებში ქალის ამოოებაზე ჩიოდეს. იგი გმობს ძველ ბალადაში ასახულ მტრობასა და შუღლს, გმობს ტომთა ურთიერთ დალაშქვრას, უმღერის მეგობრობასა და სიყვარულს.

უდიდესი ხელოვნებით არის გამოყენებული ხალხური სიმღერები „იავ-ნანა“, „ოროველა“, სატრფიალო ლირიკის ნიმუშები და სხვ. ლექსებსა და პოემებში „ბერშოულა“, „ფოროთხალა“ და სხვ.

პოეტს განსაკუთრებით უყვარს საგმირო პატრიოტული ხალხური შემოქმედება. მისი ლექსებისა და პოემების დიდი ნაწილი შთაგონებულია სახელოვანი წინაპრების, სახალხო და ეროვნული გმირების თავგანწირვით, შთაგონებულია მათი ბრძოლით სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. მის შემოქმედებაში დიდი ხელოვანის ოსტატობით არის გაცოცხლებული ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე, ფორთოხალა, არსენა ოძელაშვილი... ამით პოეტი მხოლოდ გმირულ წარსულს კი არ უმღერის, არამედ ბედნიერ აწმყოსა და კიდევ უფრო ნათელ მომავალს.

საბჭოთა პოემის ბრწყინვალე ნიმუშია „სამგორიც“. პოემაში ვახტანგ გორგასალთან ერთად გაცოცხლებულია მისი თანამებრძოლი მშრომელი ხალხის შვილები, ისინი, ვინც მძიმე ჯაფით, სისხლითა და ოფლით აშენებდნენ და იცავდნენ საქართველოს დედაქალაქს. პოემის მაღალპოეტურ პროლოგს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს საფერხულო და სალაშქრო სასიმღერო ლექსის სტრიქონი „ციდან ჩამოესმა რეკა“. მთლიანად პროლოგის დინამიური სტრიქონები ნიმუშია ღრმა პოეტური განცდით გაჯერებული ძველი საგმირო-საისტორიო სიმღერისა: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში ახალი შინაარსით არის შევსებული უძველესი კლასიკური თქმულების გმირის ამირანის სახე. ასევე იგი წარმოდგენილი შესანიშნავ ლექსში „რატომ არის საქართველო ასე ლამაზი“. ასევეა გამოყენებული „სამგორშიც“. „სამგორში“ ერთ შემთხვევაში ეპიური გმირის სახე მშობლიურ პოეზიასთან და წარსული ძველებედობის ღრმა განცდით დახატულ უჯარმის ნანგრევების ამაღელვებელ სურათთან არის დაკავშირებული:

ჰხედავ დიდ ლოდს ჩაღრმავებულს?
ფები სდგმია აქ ამირანს?
— არა, ტორი ზედ დაურტყამს
გორგასალის ფიცხელ მერანს!

მეორე შემთხვევაში ამირანის სახე სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოა. სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ამხედრებულ ვაჟკაცს თვალსაცერას გორგასალი ასე უნერგავს გამარჯვების რწმენას. საგმირო პოეზიითა და ამავე დროს საყოფიერო ლირიკით არის შთაგონებული პოემის ერთი უძლიერესი ადგილი. პოეტი ღრმად გრძნობიერი სტრიქონებით გვაცნობს ქართველი ხალხის დიდ პატრიოტიზმს გორგასალის დაღუპვის შემდეგ მომდევნო საუკუნეებში:

დიდხანს ეკიდა თბილისის ბჭეზე
ძვლით მოლურსმული ვახტანგის ფარი,
ფარზე ეხვია პირიმზის თმები,
აბრიალებდა ნაწნავებს ქარი...
ამვლელ-გამვლელნი თავს დაუკრავდნენ
და მომღერალი ქებას მღეროდა,
შეირხეოდა უეცრივ ფარი,
როცა სამშობლოს საფრთხე ელოდა.
გაიშლებოდა ორად ნაწნავი,
თუ მტერი თბილისს ემუქრებოდა,
ამბობენ, — რეკაც ისმოდა ფარის,
ცისკრის ვარსკვლავი როცა ჰქრებოდა.
— თქვენთვის ვცხოვრობდით,
თქვენთვის ვკვდებოდით,
თქვენც არა განახოთ მტერთან
დრეკილი!
ჩვენთან იყავით...
არ დაგვივიწყოთ! —
იძახდა ფარის ხმა დარეკილი.

ამ სტრიქონებში დიდი ხელოვნებით არის გადამუშავებული ძველი საგმირო ლექსი:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოუა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანდახან შესძრავს ქარიო.

აქვეა გამოყენებული ქართველი ქალის ტირილის ხალხური სტრიქონები:

— საწყალ დედაჩემს უთხარით:
— თამარ მოგიკლეს ქალიო.
გაყიდე დედულ-მამული,
იყიდე ჩემი თმანიო.
დარბაზის კარზე დაჰკიდე,
ანიავებდეს ქარიო...

ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში „მუხის ფოთოლი“, რომელიც ერთგვარი მაღალმხატვრული თვითანგარიშია პოეტის დაბადების 60 წლისთავზე, პატრიოტული ჰიმნებივით ისმის ძველი ხალხური სიმღერები „ვარადა“, „ლილე“ და „მრავალჟამიერი“. ამავე ლექსში პოეტი იგონებს ლამაზ ლეგენდებსაც ეროვნულ გმირებზე და ამით იგი მადლობით უმღერის მშობლიური ხალხის მგზნებარე გულს. ეროვნული გრძნობის სიამაყით განიცდის და განგვაცდევინებს, რომ იგი საქართველოს მკვიდრია:

მე გალაღებულს მზის სიხარულით,
მჭერა, ჩემს ქალაქს არა ბუავს ცალი!
აქ სხივი ჰქსოვდა თამარის კაბას,
მზის სხივს ეჭირა ერეკლეს ხმალი!

ეროვნული გრძნობის სიამაყით იგონებს გიორგი ლეონიძე უძველეს პატრიოტულ სიმღერას „მუმლი მუხასა“, იმ სიმღერას, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა ილია ჭავჭავაძეს და რომელსაც თურმე თვითონაც ასრულებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი მეძღროშე.

გიორგი ლეონიძე ღაღი და მეტად ორიგინალურია ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენებისას. პოეტი ყოველთვის ინარჩუნებს დამოუკიდებლობას: ხალხური სიუჟეტები, მოტივები თუ პოეტური სახეები გიორგი ლეონიძისათვის მხოლოდ ნედლი მასალაა. ამ მასალას პოეტი მისი დიდი წინაპრის ვაჟა-ფშაველას მსგავსად მოხდენილად ადნობს და ადუღებს საკუთარ სულიერ ქერაში და საბჭოთა პატრიოტიზმით ამაღლებულ ორიგინალურ ლექსებს ბინას უმკვიდრებს ხალხის გულში.

ძღენია სიხარულიძე,
პროფესორი.

* * *

სურათზე: პოეტი გ. ლეონიძე წიგნის სავაჭრო ფარდულში ავტოგრაფებს უძღვნის მკითხველებს.

ახალი ამბები, ჭორები, ფაქტები

გუშინ, 25 დეკემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მაყურებლებს უჩვენა კომპოზიტორ დარგომიჟსკის ოპერის „ალის“ ახალი დადგმა. ეს ოპერა ჩვენს თეატრში ათი წელია არ დადგმულა.

სპექტაკლში წამყვანი პარტიების უმრავლესობას ასრულებს თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობა.

მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დმიტრიადი. დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს დ. მჭედლიძეს, ცეკვები — რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ზ. კიკალეიშვილს. ხორმეისტერებია თეატრის მთავარი ხორმეისტერი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი და გ. ბუხრიკიძე. სპექტაკლი გაფორმა მხატვარმა ი. ფარაჯანოვმა.

სპექტაკლს უჩვენებენ მოსწავლეებს საზამთრო არდადეგების დღეებში.

სურათზე: სცენა ოპერა „ალიდან“; ალი — მსახიობი ნ. ქაჯაია (მარჯვნიდან პირველი).

ფოტო ბ. დადვაძისა.

«ა ლ ი»

საქართველოს არქიტექტორთა კავშირში

25 დეკემბერს გაიმართა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ახლად არჩეული გამგეობის პირველი სხდომა.

არჩეულ იქნა გამგეობის პრეზიდიუმი 11 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი ა. გ. ქურდიანი, თავმჯდომარის მოადგილედ არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი ი. ნ. ციციშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — არქიტექტურის კანდიდატი, დოცენტი მ. ს. ლორთქიფანიძე.

(საქდესი).

ვ-პროცენტიანი სესხის ტირაჟები

1960 წელს, ისევე როგორც წარსულ წლებში, გაიმართება საკავშირო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი. ტირაჟები გაიმართება: 73-ე ტირაჟი — 30 იანვარს მოსკოვში, 74-ე — 30 მარტს ტაშკენტში, 75-ე — 30 მაისს კოვში, 76-ე 30 ივლისს ლენინგრადში. დანარჩენი ტირაჟები — 77-ე ძირითადი და მე-13 დამატებითი, აგრეთვე 78-ე ძირითადი — მოსკოვში შესაბამისად 30 სექტემბერსა და 30 ნოემბერს.

ამ სესხის ძირითად ტირაჟებში გათამაშდება მოგებანი 400-დან 50.000 მანეთამდე, ხოლო დამატებითს ტირაჟებში, გარდა ამისა — 100.000 მანეთი.

რკინიგზის ბილეთების ერთიანი ფორმა

1960 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნება რკინიგზის ბილეთის ახალი ერთიანი ფორმა.

— ეს ღონისძიება, — განუცხადა საკადესის კორესპონდენტს გზათა სამინისტროს მთავარი სამგზავრო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა მ. ვ. ვასილევმა, — მხოლოდ ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც სამინისტრო მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად ეწევა. ამჟამად, გარდა ბილეთის ფასისა და დასაზღვევი გამოსაღების გადახდისა, მგზავრი დამატებით იხდის: კუპეს, სიჩქარისა და პლაცკარტის ფასს. ხშირად სალარო ხუთამდე სხვადასხვა სამგზავრო დოკუმენტს ძლევს მგზავრს.

ახალი წესის მიხედვით, მგზავრი, რომელსაც გადაჯდომა არ უხდება, მიიღებს მარტო ერთ დოკუმენტს — ბილეთს, რომელზეც აღნიშნული იქნება მგზავრობის სრული ღირებულება, რა ვაგონია და მატარებლის კატეგორია: სამგზავრო, თუ ჩქარი. გადაჯდომის შემთხვევაში მგზავრს ეძლევა ბილეთი მაგარ ვაგონში სამგზავროდ მთელ გზაზე გაგზავრების საგარეოდან დანიშნულების საგარამდე. თუ მგზავრი მოისურვებს კუპირებული ან რბილი ვაგონით წასვლას, მას ეძლევა დამატებითი ქვითარი გადაჯდომის პუნქტამდე შესაბამისი ვაგონით მოგზაურობისათვის.

ბილეთის ახალი ფორმის შემოღებასთან ერთად ბევრად მარტივდება სამგზავრო ტარიფების სისტემა. ნაცვლად ამჟამად არსებული 174 სატარიფო სარტყლისა, წესდება 110, რაც საშუალებას იძლევა თითქმის ერთიორად შემცირდეს სამგზავრო ბილეთების ბლანკების რიცხვი.

რკინიგზის ბილეთების ერთიანი ფორმების შემოღება და სატარიფო სარტყლების სისტემის გამარტივება ბევრად აადვილებს და ამარტივებს მოლარის მუშაობას. მნიშვნელოვნად შემცირდება ბილეთებისა და სხვა სამგზავრო დოკუმენტების ბეჭდვის ხარჯები. (საკდესი).

ხალიჩაზე — ფალავნები

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პირველობის გათამაშება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებში.

ბრძოლა ერთდროულად მიმდინარეობს რამდენიმე ხალიჩაზე. ესენი არიან ახალგაზრდა, ნიჭიერი მოჭიდავეები თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან.

თავისუფალ ჭიდაობაში ერთმანეთს პირველობას იცილებს 112 პირველ და მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში — 141 კაცი.

პირველმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ ჩემპიონატის მონაწილენი კარგად არიან მომზადებული, ასპარეზობათა უმრავლესობა ხასიათდება ტემპიანი, შეუპოვარი ბრძოლით.

კლასიკურ ჭიდაობაში გამოირჩეოდა თბილისელების ოსიტაშვილისა და შელიას ბრძოლა. ქულებით გაიმარჯვა შელიამ. თბილისელმა გუშჩინმა დაამარცხა თევზაძე, ხოლო ქუთაისელმა მნაცაკანიანმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა ბათუმელ ბერიძესთან შეხვედრაში.

თავისუფალი ჭიდაობის პირველი წრის შეხვედრებიდან საინტერესო იყო ბათუმელ სურმავასა და თბილისელ ჩოხელის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა სურმავამ. ქუთაისელმა ასათიანმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა თბილისელ შინჯიკაშვილთან.

რესპუბლიკური ჩემპიონატი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში 28 დეკემბრამდე გაგრძელდება.



თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატი

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის.

ამ შეჯიბრებას წინ, უძღოდნა ნახევარფინალური ასპარეზობები. დასკვნით შეხვედრებში ერთმანეთს პირველობას იცილებდა 18 მოჭადრაკე, მათ შორის 7 ოსტატობის კანდიდატი — ა. ბელაძე, გ. გამრეკელი, გ. მაჭავარიანი, დ. ჯანოევი, გ. კალატოზიშვილი, თ. კიკალეიშვილი, ე. ფერსამა.

ჩემპიონატის მონაწილეებს დებიუტი გაუკეთა მთავარმა მსაჯმა გ. გაჩეჩილაძემ, ხოლო შემდეგ მოეწყო წოლისყრა.

თბილისის საქალაქო ჩემპიონატში გამარჯვებული პირველი ექვსი მოჭადრაკე დაშვებული იქნება საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალში, რომელიც ბათუმში გაიმართება მომავალი წლის მარტიდან.

საქართველოს პირველობაზე დაშვებულ იქნებიან აგრეთვე ფოთისა და გორის ნახევარფინალებში გამარჯვებულები (ოთხ-ოთხი მოჭადრაკე). ფინალში გამოვლენ ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი, მ. შიშოვი, ნ. სოროკინი.

თბილისის ჩემპიონატის პირველი ტური გაიმართება 28 დეკემბერს. შეჯიბრება ერთ თვეს გაგრძელდება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საგარეოპოლიტიკური

ალბანეთი აშენებს სოციალიზმს

შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტირანა, 24 დეკემბერი. (საკდესი). 1959 წლის 22 და 23 დეკემბერს გაიმართა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა პოლიტბიუროს მოხსენება „1956-1959 წლების პერიოდის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების და 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ“, რომელიც გააკეთა პოლიტბიუროს წევრმა და ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმედ შეჰუმ. პლენუმმა მოიწონა მოხსენება და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

როგორც ალბანეთის პრესა იუწყება, პლენუმმა აღნიშნა, რომ 1956-1959 წლების პერიოდს ახასიათებდა მშრომელი მასების დიდი შრომითი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის წარმატებით გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე, კულტურული რევოლუციის შემდგომი განხორციელება, ხალხის მატერიალური მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება და სამეურნეო, სახელმწიფო და პარტიული ორგანოების მხრივ ეკონომიკის ხელმძღვანელობის ყოველმხრივი გაუმჯობესება. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გეგმა 1959 წლის შესრულებულია 101 პროცენტით, ხოლო 1956-1959 წლების პერიოდისა — 100 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმა ვერ შესრულდა, მაგრამ მიმდინარე წელს წარმოებულია მეტი, ვიდრე 1955 წელს, პეროული — 22 პროცენტი, ხორცი — 32 პროცენტი, თამბაქო. — 73 პროცენტი და სხვ. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აერთიანებენ რესპუბლიკის სათესი ფართობის 82 პროცენტს, ნაცვლად 14,5 პროცენტისა 1955 წელს.

შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1955 წელთან შედარებით მშრომელთა ხელფასის დონე წელს ამაღლდა 29 პროცენტით. დიდი წარმატებებია მიღწეული განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ღასახა 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის ძირითადი ამოცანები. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა წლის განმავლობაში გადიდდება 11 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება — 33 პროცენტით. 1960 წლის განმავლობაში აიგება და რეკონსტრუირებულ იქნება 150 დიდნაწილოვანი ობიექტი.

ეროვნული შემოსავალი გადიდდება 18 პროცენტით, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი — 6 პროცენტით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენს 27 მილიარდ 540 მილიონ ლეკს, ხოლო გასავლის ნაწილი 26 მილიარდ 540 მილიონ ლეკს.

იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინაში

ბელგრადი, 24 დეკემბერი. (საკდესი). ტანიუგის სააგენტო იუწყება:

იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინამ ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე დღეს მიიღო პასუხი განიარაღების შესახებ მმართველობა, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესმა სახჭომ მიმართა ყველა ქვეყნის პარლამენტებს.

პასუხში ხაზგასმულია, რომ საკავშირო-სახალხო სკუპშჩინა და იუგოსლავიის მთავრობა ყოველთვის უჭერდნენ ძალას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მსოფლიოს ბლოკებად დაყოფის აღმოფხვრასა და განიარაღებას. ისინი აგრეთვე მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ და განსაკუთრებით იბრძოდნენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის და ამ იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვისათვის.

საკავშირო სახალხო სკუპშჩინამ, ნათქვამია პასუხში, ამ აზრით მოუწოდა ყველა ქვეყნის წარმომადგენლობითს ორგანოებსა და მთავრობებს. საკავშირო სახალხო სკუპშჩინა კვლავაც იბრძოლებს იმავე მიზნებისათვის და ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე და აქტიური თანაარსებობის პოლიტიკის გამარჯვებისათვის, მიუხედავად იმისა, დიდია თუ პატარა ეს ქვეყნები და მიუხედავად მათი შინაგანი წყობილებისა.

ფრანკო ხიშტებსა და დოლარებს ეყრდნობა

ლონდონი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტის წევრი ქიმიკოს მუშათა პროფკავშირის გენერალური მდივანი რობერტ ედვარდსი გაემგზავრა მადრიდს, რათა დასწრებოდა ესპანელ დემოკრატთა (ხულიო სერონი და სხვ.) ჯგუფის პროცესს. ფრანკისტულმა ხელისუფლებამ ედვარდსი დააპატიმრეს და მადრიდიდან გააძევეს. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ედვარდსმა განაცხადა: „ფრანკო ხუთ წუთსაც ვერ იარსებებდა, დიდი შეიარაღებული ძალები რომ არ ჰყავდეს და ამერიკა არ უწევდეს დახმარებასო“.

გაზეთი „დერ მიტაგი“ წერს, რომ პარიზში გადაწყვიტეს „ალადგინონ კავშირი ბერლინის საკითხსა და გერმანიის პრობლემას შორის“.

მონტიორი კანცლერის მანტიით.

ნახატი ი. ნემსაძისა.



მოკლე ცნობები

კაირო, 25 დეკემბერი. (საკდესი). ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის კომენიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ 15-დან 18 დეკემბრამდე საფრანგეთის კოლონიური ჯარების წინააღმდეგ ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანული რაზმების მოქმედების შედეგად მოსპობილია ფრანგთა 5 ტანკი და 3 ყველგანმავალი.

პეკინი, 25 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ჰავანიდან, კუბის პოლიციამ აღმოაჩინა კონტრრევოლუციური დაჯგუფება და დაუპატიმრა 40 კონტრრევოლუციონერი. მათ ჩამოართვეს იარაღი და საომარი მასალა. დაპატიმრებულებმა აღიარეს, რომ ამზადებდნენ მთელ რიგ მკვლელობებსა და საბოტაჟის აქტებს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატისა და დიმიტროვის სახელობის პრემიის ლაურეატის, სოფიის სახელმწიფო საოპერო თეატრის პრემიერის

ნიკოლო ნიკოლოვის

(ტენორი, ბულგარეთი)

გასტროლები

ორშაბათს, 28 დეკემბერს

ჯ. ვერდი

ტრუბადური

მანრიკოს პარტიას შეასრულებს ნიკოლო ნიკოლოვი

პარასკევს, 1 იანვარს

ჟ. ბიზე

კარმენი

დონ ხოზეს პარტიას შეასრულებს ნიკოლო ნიკოლოვი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

თბილისში რეპერტუარი

26 დეკემბერი

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო (მე-15 აბონ. მე-2 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა (პრემიერა), **მუსიკალური კომედიის** — ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომეტა ბ-2 (აბონ. № 51, 10 ს., აბონ № 18, 3 ს.), **თოჯინების ქართული** — მამლაყინწას თავგადასავალი (11 ს.), ზარმაცი კიკო (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — დედა, მამა, ჩემი ცოლი და მე, **ისანი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — სინდბადის მეშვიდე მოგზაურობა, **სპარტაკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **დიდუბე, კომუნარების ბაღი** — კაბირიას ღამეები, **კომკავშირელი** — ვნებათა ყურე, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სიყვარულს დაფასება უნდა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — პაწაწინა, **კოლხიდა** — მე, თქვენ გწერთ, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **თანამგზავრი** — უსასრულო გზა, **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, **კოლმეურნე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ძლიერნი ამა ქვეყნისანი, **უაზბეგი** — საზღვარგარეთული ფილმი.

ცაცვიჭია

26 დეკემბერი

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ (წინასაახალწლო გამოშვება), 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 21.40 — უკანასკნელი ცნობები, 21.55 — ახალი ფილური მხატვრული ფილმი „ახალგაზრდა მეწისქვილე“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა არ არის მიზანშეწონილი).

უე 08030 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.